ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2020 წლის 31 იანვარი

ქ. ბაღდათი

„ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 აპრილის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 აპრილის №13 დადგენილებაში (საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი www.matsne.gov.ge, 01/05/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.124.016369) და დანართი №2 ჩამოყალიბდეს წარმოდგენილი რედაქციით (დანართი №2 თან ერთვის).

მუხლი 2

დამტკიცდეს პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა, კორექტირებული დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **შალვა მშვილდაძე**

დანართი №2

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა

№	ღონიძიებების დასახელება	თანადაფინანსების წილი %	მერიის წილი %	ამხანაგობის წილი %
1	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია	94/6	94	6
2	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გარე ფასადების რეაბილიტაცია	94/6	94	6
3	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის დაზიანებული წყალმომარაგება-კანალიზაციის კომუნიკაციების აღდგენა	90/10	90	10
4	პარაპეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია	90/10	90	10

5	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების შიდა რემონტი და პანდუსების მოწყობა	90/10	90	10
6	ეზოების კეთილმოწყობა	90/10	90	10